პროფესიული მომზადების პროგრამა:

„ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“

პროგრამის სახელწოდება: „ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“
პროგრამის სახე: ☒ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☒ **3** ☐ **4** ☐ **5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16სთ.
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 15.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: **„ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“** პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია სამუშაოს მაძიებელ მსმენელთა პროფესიული სწავლებით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების/კომპეტენციების გამომუშავებით, სხვადასხვა ავტოსარემონტო საწარმოებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) ***<u>კურსდამთავრებულმა იცის:</u>*** 1. შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია ცილინდრების განლაგების მიხედვით 2. შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია საწვავის ტიპების მიხედვით 3. შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით ***<u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u>*** 4. ძრავის შესაძლო უწესივრობების გამოვლენა 5. სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა 6. დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება 7. გამოვლენილი უწესივრობის აღმოფხვრა და შემდგომი დიაგნოსტირება
პროგრამის შემუშავების საფუძველი: **1. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-164, 31.05.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული „ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამა განკუთვნილია პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დასაქმდნენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვადასხვა სარემონტო ობიექტებზე. სწავლება ხორციელდება კოლეჯის სასწავლო თეორიულ აუდიტორიაში და კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციის შპს „RAM MOTORS”-ის ავტოსახელოსნოში მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიერ, პირველი 6 კვირა კოლეჯში, ხოლო მეშვიდე და მერვე კვირას კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციაში.

პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 133სთ. მსმენელის შეფასებაზე გათვალისწინებულია 13სთ. (3სთ. თეორიული გამოკითხვა, 10სთ. პრაქტიკული შეფასება პროცესზე დაკვირვებით, ორივე შეფასება ტარდება კოლეჯში). მსმენელთა მომზადება განხორციელდება 8 კვირის განმავლობაში. პირველ 7 კვირაში კვირეული დატვირთვა შეადგენს 16სთ., ბოლო მე-8 კვირას კი კვირეული დატვირთვა შეადგენს 21სთ.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან შიდაწვის ძრავების კლასიფიკაციას, ძრავის მექანიზმების უწესივრობის სახეებს, მათი დადგენის მეთოდებს; შეძლებენ სადიაგოსტიკო ტექნიკის გამოყენებით უწესივრობის დიაგნოსტირებას, ძრავის კვების სისტემის სარემონტო სამუშაოების შესრულებას თანმიმდევრობის დაცვით, რემონტის შემდგომ დიაგნოსტიკას.
პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების თეორიული ცოდნის შეფასება განხორციელდება სწავლების მესამე კვირას, ხოლო პრაქტიკული უნარების შეფასება პროცესზე დაკვირვებით სწავლების ბოლო, მერვე კვირას.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს პროფესიული კვალიფიკაციის ნაწილის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.